



სოფელ წაბლანის მოსახლეობას

2013 წლის 29 ივლისი

REF G-004-13

თემა: სოფელ წაბლანის მიწის საკითხი

ბატონებო/ქალბატონებო,

ა/წ 18 ივლისს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელთან და სოფელ წაბლანის მოსახლეობასთან გამართული შეხვედრების შედეგად, მოგახსენებთ, რომ ჩვენი კომპანიამ, შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-მ არაერთხელ სცადა სოფელ წაბლანაში დაედგინა მიწის ნაკვეთების საზღვრები ადგილობრივ მოსახლეობასთან შეთანხმების მიღწევის მიზნით. სამწუხაროდ, ეს შეხვედრები დღემდე წარუმატებელი აღმოჩნდა და შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ საკითხის გადაწყვეტაში ხულოს გამგებელის ჩართულობის შემდეგაც. მოსახლეობა მუდმივად მოითხოვდა, რომ მიწის საკომპენსაციო თანხა გადანაწილებულიყო მთელ სოფელზე და არა უშუალოდ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ოჯახებზე. აქვე გაცნობებთ, რომ სამწუხაროდ, კომპანია ვერ დაუშვებს აღნიშნული მეთოდის გამოყენებას, რადგან საპროექტო სოფლებში კომპენსაციას ექვემდებარება მხოლოდ პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახები.

თუმცა, ჩვენ ისევ გამოვთქვამთ მზადყოფნას, რომ სოფელ წაბლანის მოსახლეობასთან მივაღწიოთ შეთანხმება, რის საფუძველზეც მიწის კომპენსაცია გაიცემა ფაქტობრივ მესაკუთრეებზე/მოსარგებლეებზე. წინამდებარე წერილს თან ერთვის მიწის ნაკვეთების შეფასების ანგარიში და შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს მიწის შესყიდვების ოფიცრის ვაჟა ბოლქვაძის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათი. მადლობელი დავრჩებით, თუკი ძალისხმევას გავაერთიანებთ და უმოკლესს ვადებში შევთანხმდებით.

პატივისცემით,

პიტერ ჯორჯე რეი

პროექტის დირექტორი